

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის ამოქმედებასთან დაკავშირებით, კერძო სააღსრულებო საქმიანობის დაწყებისათვის აუცილებელი პროცედურების დაზუსტება, ზოგადად აღსრულების პროცესის ცალკეული კომპონენტების დაზუსტება და დახვეწა, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე საგადასახადო დავალიანებების საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით ამოღების პროცესის ეფექტურობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილებათა აღსრულების შემდგომ სრულყოფას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის შემუშავება მიზნად ისახავს კერძო აღმასრულებლისა და აღმასრულებლის ცალკეული უფლებამოსილებების დაზუსტებას და მკაფიო სამართლებრივი რეგულირების ჩამოყალიბებას. აღსრულების ქვემდებარე ახალი აქტის შემოღებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში, კერძოდ მოვალის (გადასახადის გამამხდელის) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთული, დაყადაღებული ქონების რეალიზაციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი შემდგომში მდგომარეობს:

კანონპროექტის მიხედვით საგადასახადო ორგანოების ნაცვლად მოვალის (გადასახადის გამამხდელი) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთული, დაყადაღებული ქონების რეალიზაციას აუქციონის წესით განახორციელებს აღმასრულებელი შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. ამ მოქმედებას აქამდე საგადასახადო ორგანოები ასრულებდნენ. ეს ერთიანი პროცესის ფარგლებში მოაქცევს უზრუნველყოფილი კრედიტორების (მათ შორის სახელმწიფოს) მოთხოვნათა აღსრულებას, რაც უფრო მეტად მოაწესრიგებს და გარანტირებულს გახდის ასეთ რეალიზებულ ნივთთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მოქმედებას. ასევე ზუსტდება და პრაქტიკულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოდის აღმასრულებლის უფლებამოსილება – კონკრეტული სააღსრულებო წარმოების ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე განახორციელოს სააღსრულებო მოქმედება არასამუშაო დღეებში და საათებში.

ახალი პრაქტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ზუსტდება კერძო აღმასრულებლის საქმიანობის დასაწყებად აუცილებელი რეკვიზიტები – საანგარიშშორებო (მიმდინარე) ანგარიში, მის მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოდგენის პერიოდი და ამასთან დაკავშირებით განსაზღვრული ვადები.

დაკონკრეტდა აღსრულების პროცესში მხარეთა მორიგებისას, ამ მორიგების დამამტკიცებელი სასამართლო. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება მთლიანად აღსრულების პროცესისა და მისი ცალკეული ორგანიზაციული მხარეების შემდგომ დახვეწა-სრულყოფას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და აღსრულების ეროვნული ბიურო.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები – პავლე კუბლაშვილი, ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.